

HOMILY ON THE APOSTOLIC READING FOR THE SUNDAY BEFORE THE ELEVATION OF THE PRECIOUS CROSS 8/9/2019

სამოციქულო საკითხავის სამოდერო ქადაგება, უფლის ცხოველსმყოფელი და პატიოსანი ჯვრის ამაღლების წინა კვირა დღისა

8 სექტემბერი 2019წ.

(გალ: 6-18)

დღევანდელ წაკითხულ სამოციქულოში ჩვენ მოვისმენთ მოციქული პავლეს გალატელებისადმი მიმართვის ბოლო ნაწილს. თავისი მიმართვის ამ ნაწილში მოციქული პავლე აჯამებს ყველაფერს, რაც ადრე დაწვრილებით გამოთქვა იმათთვის, რომ დაიცვას ქრისტიანები მათგან, ვინც ამახინჯებს ქრისტეს სახარებასა და განხეთქილებას თასავს ეკლესიაში. ის აგრეთვე ჩვენს ყურადღებას ამახვილებს იმ სასარგებლო შედეგებზე, რომელიც მოუტანა ჯვარზე ქრისტეს მსხვერპლმა, ჩვენი ცხოვრებისთვის.

მოციქული პავლე მოუწოდებს ქრისტიანებს, რომ მათ უფლება არ მისცენ ფანატიკოსებს, რომლებიც თავს მოშურნე ქრისტიანებად თვლიან, განაშორონ ისინი ეკლესიის ერთობას. ეს ფანატიკოსები სული წმინდით კი არ მოძრაობენ, არამედ საკუთარი ეგოისტური შეხედულებებით იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს „სიმართლე“. მოციქული პავლე ააშკარავებს მათ თვალთმაქცობასა და ქედმაღლობას. მაგალითად მოჰყავს წინდაცვეთის სიტუაცია. წინდაცვეთა - ეს იუდეური წესია და მას არანაირი კავშირი არ აქვს სახარებისეულ სწავლებასთან.

რატომ ითხოვენ ეს ფანატიკოსები წინდაცვეთის წესის ჩატარებას? ისინი მოუწოდებენ არა იმიტომ, რომ ასე ინება ღმერთმა, არამედ დააკმაყოფილონ თავიანთი ამბიცია და თვითკმაყოფილება. ამ ფანატებს სურთ, რომ სხვებმა პატივი სცენ და გაიზიარონ მათი აზრი, აჩვენონ იუდეველებს ვალდებულება, წესების დაცვა, რომელიც უცხოა ჭეშმარიტი სიხარულისგან.

სამწუხაროდ, დღესაც ვხვდებით ასეთ მოვლენებს. მრავალნი დღეს-დღეობით შორდებიან ქრისტეს, შეპყრობილები საკუთარი ამბიციებით, შეცდომაში შედიან, არასწორად ფიქრობენ, რომ სწორედ ისინი წარმოადგენენ წმინდა სამების დამცველებს და ეკლესიის წმინდა კანონების ექსპერტებს. ისინი თვლიან, რომ მხოლოდ ისინი არიან

უცოდველი წინამძღვრები, რომლებმაც ზუსტად იციან, რა არის მართალი, და რა - არა, და თავის მოსაზრებას სხვებს თავზე ახვევენ.

ასეთი ადამიანები უყოყმანოდ განიკითხავენ მღვდლებს, ეპისკოპოსებს და პატრიარქებს, ადანაშაულებენ მათ ერესსა და განხეთქილებაში. ისინი ცდილობენ გაყონ მრევლი ეკლესიის მსახურებისგან და თესავენ ამბიციებს, იზიდავენ თავიანთკენ ფანატიკოს მომხრეებს და მიმდევრებს. ასეთი პოპულისტები, რომლებსაც გარშემო მყოფთა თანხმობა სჭირდებათ, ძალიან სახიფათოები არიან ეკლესიის მშვიდობიანი სულისა და ერთიანობისათვის.

არ დაგვავიწყდეს, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიაში არავის, განურჩევლად იმისა, თუ რას წარმოადგენს, არ აქვს უფლება სხვას თავს მოახვიოს თავისი შეხედულებები წმინდა წერილსა და წმინდა კანონებზე. როდესაც ეკლესიურ ცხოვრებაში წარმოიშვება სერიოზული პრობლემები და გამოწვევები, დაკავშირებულ ქრისტიანულ რწმენასა და ეთიკასთან, წმინდა მოციქულების დროიდან დღევანდლამდე ეკლესია განიხილავს მათ წმინდა სინოდთან ერთად. პირველი სინოდი შეიკრიბა იერუსალიმში 48 წელს ჩვ. წ. აღ-ით, როდესაც სული წმინდით შთაგონებული, წმინდა მოციქულებმა განიხილეს აუცილებელი კითხვები, მივიდნენ შეთანხმებამდე შემდგომი ქმედებებისა და განუცხადეს თავიანთი გადაწყვეტილება ქრისტიანულ ერთობას (იხ. საქმე, თავი 15).

იმ დროიდან მართლმადიდებლური ეკლესია იყენებს ამ მეთოდს ნებისმიერი პრობლემის გადასაწყვეტად, რომელიც შეიძლება ქრისტიანულ ერთობაში გაჩნდეს. ყველა ქრისტიანი, ტიტულისა და სტატუსის მიუხედავად ვალდებული არიან დაიცვან და პატივი სცენ ჩვენი ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილებას. ეს ყველაზე უსაფრთხო გზაა, რომელსაც ჩვენ მოწოდებულები ვართ მიუყვებით ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში. (ეს რა თქმა უნდა ფართო თემაა და ჩვენ, სამწუხაროდ, არა გვაქვს დრო გავანალიზოთ ყველა მისი ასპექტი).

თავის მიმართვის შემდეგ სტრიქონში მოციქული პავლე აღნიშნავს, რომ ამ ადამიანებს, სურთ იამაყონ არა ღვთისმოსაობის, არამედ პატივმოყვარეობის გამო. ისინი, მისი სიტყვებით, ამაყოვენ იმით, რომ ზოგიერთები გახდნენ მათი მიმდევრები. ამაზე მოციქული პავლე პასუხობს: „ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიესდული, გარნა ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა(იხ. მუხ.14). ამ მუხლის განმტკიცებისას წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „რაში მდგომარეობს ჯვრის ქება-დიდება? იმაში, რომ ქრისტემ ჩემი გულისთვის მიიღო მონის სახე, და ჩემი გულისთვის დაითმინა ტანჯვა, - ჩემი

გულისთვის, ყოფილი მონისთვის, მტრისთვის და უმადურისთვის, და ისე შემოიყვარა მე, რომ მიეცა (სიკვდილს)".

ქრისტეს ჯვარი - ეს სიამაყეა ყოველი ქრისტიანისთვის; იმიტომ რომ, სწორედ ჯვარია ფუძე ჩვენი იმედისა და, როგორც სააღდგომო ლოცვაშია, „და იყოს ჯვრით სიხარული მთელ ქვეყანაში“.

თავის მცდელობებში ჯვრის შესახებ მოციქული პავლე ამატებს კიდევ მნიშვნელოვან და არსებით სიტყვებს: „ჯუართა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისათვის სოფელი ჩემდამო ჯუარცმულ არს და მე სოფლისა" (მუხ. 14). „სოფელ“-ში პავლე მოციქული გულისხმობს საყოფაცხოვრებო საქმეებს, ყველაფერს ამქვეყნიურს: სიმდიდრეს, ძალაუფლებას, დიდებას, კმაყოფილებას; ყველაფერს, რასაც ბევრნი ძირითადად და მნიშვნელოვნად თვლიან. ბოლოს, მოციქული პავლე ამბობს, რომ ამ ყველაფერს არანაირი ძალაუფლება არა აქვს მასზე, და იგი უარყოფს ამას.

ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო, რაც უფრო მეტად ვათვისებთ იმას, რომ ქრისტე ჩვენი გულისთვის ეწამა ჯვარზე, უფრო გავძლიერდებით ამქვეყნიური ვნებისა და ცოდვილი სურვილების წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ასე შეუწყობთ ხელს ეკლესიის ერთიანობას და დავტკბებით ჩვენი უფლის მოწყალებით, მშვიდობით და მადლით-ყველაფერ იმით, რაც მოციქულმა პავლემ თავის მიმართვაში უსურვა გალატელებს.

ამინ!